


განათლების ხარისხის ზრდა ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი წინაპირობაა. განათლების სექტორი საქართველოს მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის მიხედვით ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა<sup>1</sup>. 2013 წლიდან ყოველწლიურად იზრდება ბიუჯეტიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება და მისი % წილი მთლიან შიდა პროდუქტში. აღნიშნულ დინამიკას პირდაპირი ან ირიბი გავლენა შეიძლება ჰქონდეს ისეთ ეკონომიკურ ინდიკატორებზე, როგორებიცაა, პროდუქტიულობა, კონკურენტუნარიანობა, უმუშევრობა და კეთილდღეობა. სწორედ ამიტომ, საინტერესოა, უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების მიმოხილვა სხვადასხვა ასპექტში.

|                                                                             | 2013  | 2014  | 2015  | 2016  | 2017    |
|-----------------------------------------------------------------------------|-------|-------|-------|-------|---------|
| განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებები (მლნ ლარი) | 675.9 | 741.1 | 824.6 | 948.3 | 1,103.5 |
| გამოყოფილი ასიგნებების % წილი მთლიან შიდა პროდუქტში                         | 2.5%  | 2.5%  | 2.6%  | 2.8%  | 2.9%    |

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2013-2017)


აღნიშნული გამოცემა მიმოხილავს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და პროფესიულ სასწავლებლებში პედაგოგების, ქართველი და უცხოელი სტუდენტების რაოდენობათა დინამიკას, ასევე, სტუდენტთა განაწილებას სასწავლებლებში პროგრამების მიხედვით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატისტიკა მოიცავს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო დაწესებულებებს<sup>2</sup> და მათ სამ საფეხურს: ბაკალავრიატს<sup>3</sup>, მაგისტრატურას<sup>4</sup> და დოქტორანტურას. ხოლო, პროფესიული სასწავლებლების სტატისტიკა მოიცავს კერძო და სახელმწიფო საზოგადოებრივ<sup>5</sup> და პროფესიულ<sup>6</sup> კოლეჯებს, ასევე, უმაღლეს და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც ახორციელებენ სტუდენტთა მიღებას პროფესიულ პროგრამებზე.

2017 წელს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამ საფეხურზე ჩაირიცხა 42779 სტუდენტი, ხოლო სწავლა დაამთავრა 23963 სტუდენტმა. ამავე წელს, პროფესიულ პროგრამებზე ჩაირიცხა 15632 სტუდენტი, ხოლო პროგრამა დაამთავრა 9774 სტუდენტმა.


2014 წლიდან ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა იზრდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამ საფეხურზე, ხოლო, მცირდება პროფესიულ პროგრამებზე (25%-იანი კლება 2017 წელს, 2013 წელთან შედარებით). მათ შორის ეს ცვლილება, შესაძლოა, გამოწვეული იყოს იმით, რომ 2014 წლიდან პროფესიული სასწავლებლის პროგრამებზე დაწესდა კვოტები სტუდენტთა რაოდენობაზე. (გრაფიკი 1)

იმისათვის, რომ ნაწილობრივ შევაფასოთ საქართველოში აბიტურიენტთა პრიორიტეტები სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებით, საინტერესოა, შევაფასოთ ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა ბაკალავრიატზე, უმაღლესი სასწავლებლის პროფესიულ პროგრამებზე და სხვა დანარჩენ პროფესიულ პროგრამებზე. (გრაფიკი 2).



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2013-2017)


მაგალითად, 2017 წელს, ბაკალავრიატზე ჩაირიცხა 29331 სტუდენტი, პროფესიულ პროგრამებზე გარდა უმაღლესი სასწავლებლის პროფესიული პროგრამებისა - 12640, ხოლო, უმაღლესი სასწავლებლის პროფესიულ პროგრამებზე - 2992 სტუდენტი. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხულთა რაოდენობა 2017 წელს 10%-ით ნაკლებია, წინა წლის იგივე მაჩვენებელთან შედარებით და პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხულთა რაოდენობის 19%-ს შეადგენს (გრაფიკი 2).



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2013-2017)


საინტერესოა, რომ 2014 წელს 7%-ით შემცირდა უმაღლეს სასწავლებლებში ბაკალავრიატის საფეხურზე ჩარიცხულთა რაოდენობა და ეს მაჩვენებელი დღემდე იკლებს. ასევე, შემცირების ტენდენციით ხასიათდება ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა არა უმაღლესი სასწავლებლის პროფესიულ პროგრამებზე, განსაკუთრებით შემცირდა ჩარიცხულ სტუდენტთა რიცხვი (24%-ით) 2014 წელს (გრაფიკი 2).

აღსანიშნავია, რომ 2013 წლიდან დღემდე იზრდება ჩარიცხულ მაგისტრანტთა რაოდენობა უმაღლეს სასწავლებლებში. 2017 წელს მაგისტრანტთა რაოდენობა 2.2-ჯერ აღემატება 2013 წლის იგივე მაჩვენებელს. იმავე პერიოდში 1.2-ჯერ გაიზარდა დოქტორანტთა რიცხვი, ხოლო 0.9-ჯერ შემცირდა ბაკალავრების რიცხვი (გრაფიკი 3).



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2013-2017)


2017 წელს 13%-ით გაიზარდა კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა უმაღლეს სასწავლებლებში ბაკალავრიატზე, ხოლო 25%-ით უმაღლესი სასწავლებლის პროფესიულ პროგრამებზე. ამის საპირისპიროდ, 2016 წელს, წინა წელთან შედარებით, 20%-ით შემცირდა კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა დანარჩენ პროფესიულ პროგრამებზე და ეს მაჩვენებელი დღემდე მცირდება (გრაფიკი 4). აღსანიშნავია, რომ 2013 წლიდან დღემდე იზრდება კურსდამთავრებულ მაგისტრანტთა რიცხვი (გრაფიკი 5).



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2013-2017)


მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა 2016 წელს, როდესაც წინა წელთან შედარებით, კურსდამთავრებულ მაგისტრანტთა რიცხვი 33%-ით გაიზარდა, რაც მნიშვნელოვნად განაპირობა კერძო უნივერსიტეტებში კურსდამთავრებულ მაგისტრანტთა რაოდენობის ზრდამ.

რაც შეეხება პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობას, უმაღლეს სასწავლებლებში მათი რაოდენობაა 8231, ხოლო, პროფესიულ სასწავლებლებში - 4084. აღსანიშნავია, რომ პროფესორ-მასწავლებელთა რიცხვი 2013 წლიდან უმნიშვნელოდ იცვლება უმაღლეს სასწავლებლებში, რასაც ვერ ვიტყვით პროფესიულ სასწავლებლებზე. 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, პროფესიულ პროგრამებზე პერსონალის რაოდენობა 12%-ით გაზარდილია, მიუხედავად იმისა, რომ ჩარიცხულთა რაოდენობა ამ პროგრამებზე მცირდება. ამის მიზეზი შესაძლოა, მოდულურ პროგრამაზე გადასვლა იყოს, რის გამოც გაიზარდა საგნების და შესაბამისად პედაგოგების რაოდენობაც.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2013-2017)


რაც შეეხება სტუდენტთა განაწილებას უმაღლეს სასწავლებლებში, სამ საფეხურზე, პროგრამების მიხედვით, 2017 წელს, ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობით ლიდერობს სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი 19751 სტუდენტით. შემდეგ მოდის მეცნიერება - 6858 სტუდენტით, ჯანდაცვა - 5308 სტუდენტით და ჰუმანიტარული მეცნიერებები - 4326 სტუდენტით. 2013 წლიდან დღემდე, ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობით, სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართლის პროგრამა მკაფიოდ პირველ ადგილზეა პროცენტული წილით ჩარიცხულთა მთლიან რაოდენობაში.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2013-2017)

ამასთან ერთად, 2014 წლიდან იზრდება მეცნიერებაზე ჩარიცხულ, ხოლო 2016 წლიდან ჯანდაცვაზე ჩარიცხულ სტუდენტთა წილი. ამის საპირისპიროდ, მცირდება ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე და ხელოვნებაზე ჩარიცხულთა წილი. მას ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით 2015 წელს გადაასწრო მეცნიერებამ, ხოლო 2017 წელს ჯანდაცვამ (გრაფიკი 6). გენდერული განაწილების მიხედვით, უმაღლეს სასწავლებლებში, ჩარიცხულთა 49% ქალია და 51% - კაცი.

2017 წელს, პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების ნახევარი ინჟინერია<sup>7</sup> (5336) და აგრარულ მეცნიერებებზე<sup>8</sup> (2300) მოდის. მათ შემდგომ ყველაზე მოთხოვნილი პროგრამებია ბიზნესის ადმინისტრირება<sup>9</sup> (2151) და ჯანდაცვა<sup>10</sup> (2037). 2013 წლიდან დღემდე ჩარიცხულ სტუდენტთა ყველაზე დიდი წილი მოდის ინჟინერიის პროგრამაზე. 2016 წლიდან იზრდება აგრარულ მეცნიერებებზე ჩარიცხულ სტუდენტთა წილიც. აღსანიშნავია, რომ 2013 წლიდან მკვეთრად მცირდება ბიზნესის ადმინისტრირებაზე ჩარიცხულ სტუდენტთა წილი. 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, 30%-ით შემცირდა ჩარიცხულ სტუდენტთა რიცხოვნობა ამ პროგრამაზე. სწორედ ამ პერიოდში, ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობის წილით მთლიანად ჩარიცხულებში, მას აგარულმა მეცნიერებამ გადაასწრო (გრაფიკი 7). 2017 წელს, როგორც ჩარიცხული ისე კურსდამთავრებული სტუდენტების 47% ქალია, ხოლო 53% - კაცი.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2013-2017)

2017-2018 სასწავლო წელს უცხოელი სტუდენტების რაოდენობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 10152-ს შეადგენს. მათი ძირითადი წილი მოდის ბაკალავრიატსა (უცხოელი სტუდენტების 31%) და მაგისტრატურაზე, რომელიც მოიცავს რეზიდენტურას (უცხოელი სტუდენტების 68%). აღსანიშნავია, რომ უცხოელი სტუდენტების რაოდენობა 2015 წლიდან დღემდე იზრდება. მაგალითად, 2017 წელს, წინა წელთან შედარებით, 25%-ით მეტი უცხოელი სტუდენტი ირიცხება უმაღლეს სასწავლებლებში. 14%-ით შემცირებულია უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა ბაკალავრის საფეხურზე, ხოლო 58% გაზარდილია მათი რაოდენობა მაგისტრატურის საფეხურზე, რაც ძირითადად გამოწვეულია მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობის ზრდით ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამაზე (გრაფიკი 8). 2017 წელს ბაკალავრიატის საფეხურზე მყოფ სტუდენტთა 65% სოციალური მეცნიერების, ბიზნესისა და სამართლის პროგრამაზე სწავლობს, ხოლო მაგისტრატურის საფეხურზე უცხოელი სტუდენტების 97% ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამაზე ირიცხება.

- 1 სამთავრობო პროგრამა 2016-2020წ.
- 2 უნივერსიტეტი, სასწავლო უნივერსიტეტი, კოლეჯი.
- 3 2015 წლამდე მოიცავს დიპლომირებული მედიკოსის (ვეტერინარის) პრიორიტას.
- 4 2015 წლიდან მოიცავს რეზიდენტურას და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამას.
- 5 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პარალელურად ახორციელებს მოგადსაგანმანათლებლო ან/და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე უფლებამოსილია განახორციელოს ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა.
- 6 პროფესიული კოლეჯი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მხოლოდ პირველი სამი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.
- 7 მაგ.: ინჟინერიის ტექნოლოგიები, კომპიუტერული გრაფიკა, ავტომობილის დიზაინსტიკოსი, სხვ.
- 8 მაგ.: მეხალხე, მეზოტენე, მეცხენარე, მედიკოსი, კონდიტერი, სხვ.
- 9 მაგ.: ბუღალტერი, მფრე ბიზნესის მმართველი, სადამსჯელო აგენტი, სხვ.
- 10 მაგ.: პრაქტიკოსი ექთანი, კბილის ტექნიკოსი, სხვ.

| ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები               | 2013    | 2014    | 2015    | 2016    | 2017*   |
|-------------------------------------------------|---------|---------|---------|---------|---------|
| ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)                 | 16139.9 | 16507.8 | 13988.1 | 14377.9 | 15164.5 |
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)              | 3599.6  | 3676.2  | 3766.6  | 3864.6  | 4078.5  |
| მშპ-ს რეალური ზრდა                              | 3.4%    | 4.6%    | 2.9%    | 2.8%    | 5.0%    |
| ინფლაცია                                        | -0.5%   | 3.1%    | 4.0%    | 2.1%    | 6.0%    |
| პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი) | 1020.6  | 1818.0  | 1652.5  | 1602.9  | 1861.9  |
| უმუშევრობის დონე                                | 14.6%   | 12.4%   | 12.0%   | 11.8%   |         |
| სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)        | 4202    | 4199    | 4314    | 4515    | 5177    |
| სიღარიბის დონე (ფარდობითი)                      | 21.4%   | 21.4%   | 20.1%   | 20.6%   |         |